**შეფასების სქემა მასწავლებელთა გამოცდის მე-8 დავალებისთვის (თემა)**

**მაქსიმალური ქულა - 16. სიტყვების რაოდენობა მინიმუმ 180. მოთხოვნილი დონე B2.**

| | **შესაბამისობა დავალების მოთხოვნასთან.** | **ლოგიკური და სტრუქტურული თანმიმდევრობა** | **ლექსიკური მარაგი** | **გრამატიკული მრავალფეროვნება და სისწორე.** |
|---|---|---|---|---|
| **4 ძალიან კარგი** | ნაწერი ძალიან კარგია; დავალების მოთხოვნას პასუხობს სრულად და ამომწურავად. მოცემული არგუმენტები მკაფიო და ამომწურავია. | ნაწერის აგებულება ძალიან კარგია; ლოგიკური და თანმიმდევრულია; მაკავშირებლები სწორადაა გამოყენებული. | ლექსიკა მდიდარი და მრავალფეროვანია. პასუხობს მოთხოვნებს. შეცდომა იშვიათია. | გამოყენებულია რთული და მრავალფეროვანი გრამატიკული სტრუქტურები; შეცდომების რაოდენობა ძალიან მცირეა. |
| **3 კარგი** | ნაწერი კარგია; პასუხობს დავალების მოთხოვნას, თუმცა ზოგ შემთხვევაში ინფორმაცია არასრული ან შეუსაბამოა. არგუმენტები მკაფიოა, თუმცა არ არის ამომწურავი. | ნაწერის აგებულება კარგია, თუმცა ზოგ შემთხვევაში არ არის დაცული ლოგიკური და სტრუქტურული თანმიმდევრობა. | ლექსიკა კარგია; პასუხობს მოთხოვნებს, თუმცა არის სიტყვების არაადეკვატურად გამოყენების რამდენიმე შემთხვევა. | გამოყენებულია საშუალო სირთულის გრამატიკული სტრუქტურები. დაშვებულია რამდენიმე შეცდომა, მაგრამ ეს აზრის გაგებას ხელს არ უშლის. |
| **2 საშუალო** | ნაწერი საშუალო დონისაა; დავალების მოთხოვნას პასუხობს ნაწილობრივ. ინფორმაცია, უმეტესწილად არასრული და/ან ბუნდოვანია. მოცემული არგუმენტი ან არგუმენტები მოკლე. შეუსაბამო და/ან ბუნდოვანია. | ნაწერი, უმეტესწილად, არ არის ლოგიკურად და სტრუქტურულად თანმიმდევრული; წინადადებები ერთმანეთს ცუდად უკავშირდება. | ლექსიკა ერთფეროვანი და, ძირითადად, მარტივია. ხშირია სიტყვების არაადეკვატურად გამოყენების შემთხვევები. | დაშვებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი გრამატიკული შეცდომა, რაც ზოგ შემთხვევაში, აზრის გაგებას ხელს უშლის. შეცდომები დაშვებულია სკოლის პროგრამით გათვალისწინებულ გრამატიკულ კატეგორიებში. |
| **1 საშუალოზე დაბალი** | ნაწერი სუსტია; საკითხი მხოლოდ გაკვრით არის განხილული; დებულებები მეორდება; აზრის მიყოლა ჭირს. არგუმენტები გაუგებარია ან არ არის მოცემული. | ნაწერი გაბმულად არ იკითხება; არ არის ლოგიკურად და სტრუქტურულად თანმიმდევრული. | გამოყენებულია უაღრესად მარტივი, შეზღუდული და/ან არაადეკვატური ლექსიკა. | გრამატიკული შეცდომები ხშირია; გამოყენებულია უაღრესად მარტივი გრ. სტრუქტურები. სკოლის პროგრამით გათვალისწინებულ გრამატიკულ კატეგორიებში დაშვებული შეცდომები სისტემურია. |
| **0 ცუდი** | დავალების მოთხოვნას არ პასუხობს. ან: დაწერილია ერთი ან ორი წინადადება ან აზრის გაგება შეუძლებელია. | ნაწერი სრულიად ალოგიკურია /არ იკითხება ან მეტისმეტად მარტივია. | სახეზეა მხოლოდ ერთმანეთთან დაუკავშირებელი და შეუსაბამო წინადადებები და/ან სიტყვები. | გრამატიკული შეცდომები დაშვებულია თითქმის ყოველ წინადადებაში. ნაწერი არ იკითხება. |